ლოცვები
სულიწმიდისადმი

Renovabis

გახსენი ჩემი გული

ფოტო: მიიკლ ეუნსი

ძვირფასო თანამღოცველებო!

სულიწმიდაა, რომელიც ყოველგვარ სიკეთეს აღძრავს ჩვენში(შდრ. რომ. 8,26). მისი მყოფობა ჩვენს დროში უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ოდესმე. მისი ძღვენს მოაქვს განახლება, სიბრძნე, რწმენის ძალა და ხსნა. უფრო მეტიც, მისი ძღვენი გვეხმარება განვასხვაოთ რა სასარგებლოა და რა დამაზიანებელი ჩვენთვის, ადამიანებისთვის.

თუმცა სულიწმიდა ასევე სიყვარულია, რომელიც გვაერთიანებს ღმერთთან და მოყვასთან და გვიბიძგებს, ნაბიჯი გადავდგათ მათკენ.

ღოცვათა ამ წიგნაკს სურს ღმრთის სულთან ჩვენი პიროვნული შეხვედრის თანამგზავრი იყოს. სწორედ ამას ემსახურება მისი თანსატარებელი ფორმა. მისი წაღება ყველგანაა შესაძლებელი. ამავდროულად ის უნდა ემსახუროს საზოგადო ღოცვას, რომლითაც სულიწმიდა ადამიანებს ერთმანეთთან აკავშირებს.

ამ წიგნაკით, რომელიც სხვადასხვა ენაზე ქვეყნდება, გვსურს ღოცვითი ხიდი ავაგოთ ჩვენ პარტნიორ ქვეყნებს შორის, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. რადგან სადაც ღმრთის სული მყოფობს, იქ ჩნდება ერთობა და ურთიერთგაგება.

Thomas Šumarta

პროფ. დოქტ. თომას შვარცი
რენოვაბისის მთავარი აღმასრულებელი დირექტორი

ისუნთქე ჩემში

ისუნთქე ჩემში, შენ სულო წმიდაო!
რათა სიწმინდით ვფიქრობდე.

აღმანთე მე, შენ სულო წმიდაო!
რათა სიწმიდით ვიქმოდე.

აღმძარი მე, შენ სულო წმიდაო!
რათა მიყვარდეს წმინდა.

განმაძლიერე, შენ სულო წმიდაო!
რათა შევინარჩუნო ის რაც წმინდაა.

დამიფარე მე, შენ სულო წმიდაო!
რომ არ დავკარგო ეს ყველაფერი

მიეწერება ნეტარ ავგუსტინეს

მოვედ/მოდი, სულო წმიდაო!

მოვედ!
აღმავსე!
მომეცი ძალა!
მაჩუქე მხნეობა!
ცეცხლი მომადე!
დაე ცხოვრების წყალმა იდინოს,
დაღვრილმა შენი სულიდან!

წამართვი შიში
წამართვი ჩემი უტყვობა
წამართვი ჩემი იჭვნეულობა
აღიღე ჩემი დაბნეულობა
აღიღე ჩემი მარტოსულობა.

აღმიღე მე

და მომეც მე

დაუსრულებელი ლტოლვა შენდამი.

ანდრეა შვარცი

ლოცვა სულიწმიდისადმი

მოვედ სულო წმიდაო,
შენ სულო ჭეშმარიტებისაო, რომელიც ჩვენ
გვანთავისუფლებს.
შენ სულო ქარიშხლისაო, რომელიც ჩვენ
აღგვაღელვებს,
შენ სულო სიმამაცისაო, რომელიც ჩვენ გვაძლიერებს.
შენ სულო ცეცხლისაო, რომელიც ჩვენ სარწმუნოს
გვხდის.

მოვედ სულო წმიდაო,
შენ სულო სიყვარულისაო, რომელიც ჩვენ
გვაერთიანებს.
შენ სულო სიხარულისაო, რომელიც ჩვენ
გვაბედნიერებს.
შენ სულო მშვიდობისაო, რომელიც ჩვენ შეგვარიგებს.
შენ სულო სიკეთისაო, რომელიც ჩვენ
გვაკეთილშობილებს.
მოვედ, სულო წმიდაო

ლეონარდო ბოფი

ლოცვა სულიწმიდისადმი

ო სულო წმიდაო,
შენ სიყვარულო მამისა და ძისაო,
მასწავლე რაც უნდა ვიფიქრო.
მასწავლე რაც უნდა ვთქვა,
და როგორც ეს უნდა ვთქვა.

მასწავლე რაზეც ვდუმარებდე
და როგორ ვიქცეოდე.
მომანიჭე, რასაც სადიდებლად უფლისა,
სისრულისათვის სულთა და ჩემი ხსნისათვის
უნდა ვიქმოდე.

სულო წმიდაო
მომეც მე სიბრძნე, რათა გავიგო და
შევიმეცნო;
მომეც მე მახვილგონიერება
რათა ყოველი დავიტიო.

მასწავლე მე გზანი და მომეცი ნიჭი
მუდმივად სწავლისა.
მომეც მე ალღო სწორად განსაზღვრისა
და გარჩევისა;
მოეც მე მადლი, რომ სიტყვა მქონდეს
ძალმოსილი.

სულო წმიდაო
მომეცი მე თავდაჯერებულობა და სიმკვეთრე
დასაწყისში,
მიწინამძღვრე და გამიძეხი აღსრულებისას
და მომეც მე სისრულე
დასასრულისას.
ამინ.

ასე ლოცულობდა პაპი იოანე-პავლე მეორე ყოველდღიურად.

სული წმიდა

შენ განმანთავისუფლებელო სუნთქვავ
ცხოვრებისასო,
ასხურე შენი სიცოცხლის ნამი
ჩემს ყოველდღიურობას,
რათა ყოველივემ, ერთფეროვანმა და
მოსაწყენმა ჩემში,
თავიდან იფეთქოს შენი განცვიფრებისა და
თვითმიძღვნის მარადქმნადობაში.

სულო წმიდაო
შენ მცველო ჩემი ღირსებისაო,
მომეც მხნეობა,
რომ არ ვუღალატო საკუთარ თავს
უარყოფის, დამარცხების ან კრიტიკის შიშით.
შემინარჩუნე განმანთავისუფლებელი
ჭეშმარიტება იმისა,
ვინც ღმრთის თვალებში ნამდვილად ვარ.

სულო წმიდაო
შენ სუფთა წყაროვ განახლებისა,
მომრწყე შენი განმაცხოველებელი წყლით,
რადგან ყოველი სიცარიელე მარტოსულობისა
და სასოწარკვეთისა
შენი ყოფნით ამოივსება.

წმიდაო სულო
განაახლე ცხოვრების სისავსე ჩემში!

და თეოდორა შულაკი წმინდა განმანთავისუფლების მისიონერ დათა საზოგადოება.

სულიწმიდა

შენ სულო წმიდაო, განმანათლე მე,
რათა ჩემს ცხოვრებაში არსებითის მიმართ
განცდა სრულვყო.

შენ სულო ძლიერებისაო,
შემეწიე,
რომ მყარად ვიდგე.

შენ სულო თავისუფლებისაო, განმანთავისუფლე მე,
მარადის მსახურებად მშვიდობისა და
სამართლიანობისა.

შენ სულო შთაგონებისაო, მომინადირე,
რათა ჩემი ამბავი ღმერთთან ერთად წარვმართო.

შენ სულო მეცნიერებისაო, წარუძეხ ჩემ ფიქრებს,
რათა მგზნებარედ მიყვარდეს შენი შესაქმე და
ქმნილება.

შენ სულო ლოცვისაო, ილოცე ჩემში,
რათა ღმერთი მეტყველებდეს ჩემში.

შენ სულო ღმრთის სიყვარულისაო, დამიცავი მე,
რათა მარადჟამ სასოებით ვცხოვრობდე.

მსურს ახალი აღმაფრენით გული გავხსნა
შენი მერმისი სამყაროსათვის.

ლუის გურდინი

ო სულო ღმრთისაო ჩემში

მასწავლე მიყვარდე მეტად და მეტად,
რომ ყოველდღიურად მივდიო ჩემი უფლისა
და ღმრთის
იესო ქრისტეს ნაკვალევს.

მასწავლე, რომ გავიზარდო რწმენაში,
რათა გავხდე, რაც ყოველი ჩვენგანისთვის
განიზრახე.

სულო წმიდაო იცხოვრე ჩემში.
ამინ

და ნადია რუჟინა



სული წმიდა

სულო წმიდაო, მომეცი რწმენა,
რომელიც ეჭვიანობისა და მანკიერებისგან მიხსნის.
ომეც მე სიყვარული ღმრთისა და ადამიანებისადმი,
რომელიც ყოველ სიძულვილსა და ბინიერებას
განწმედს,
მომეც იმედი, რომელიც განმანთავისუფლებს
შიშისა და სასონარკვეთისაგან.

დიტრიხ ბონჰიოფერი

მოდი, სულო წმინდაო! ჩვენ გვჭირდები

მოვედ, სულო წმიდაო! ჩვენ შენ გვჭირდები.
სხვანი ელიან ჩვენ სიტყვას
და ჩვენ ვართ გაუბედავნი.
აღმოგვათქმევინე სიტყვა მათდამი,
რომელიც მათ გზას აჩვენებს.

მოვედ, სულო წმიდაო! ჩვენ შენ გვჭირდები.
ჩვენ დაღლილები თავს ვაფარებთ იქ,
სადაც სიმშვიდე სუფევს.
მოგვეცი ძალა, რათა მივმართოთ სხვებს,
და მოგვეც ის, რაც მათ სიკეთეს შესძენს.

მოვედ, სულო წმიდაო! ჩვენ შენ გვჭირდები.
თუმცა მივიჩნევთ თავს მნიშვნელოვნად,
მაგრამ ვგრძნობთ როგორც კი შენ შეგვეხები,
როგორ ღაღადებს მამა ზეცაში:
„შენ ხარ ჩემთვის მნიშვნელოვანი.“

მოვედ, სულო წმიდაო! ჩვენ შენ გვჭირდები.
ჩვენ გვეჩქარება, რადგან ბევრია საკეთებელი.
მაგრამ შენს ახლოს შეგვიძლია წამით ვიყუჩოთ,
ღმრთის სიყვარული შევისუნთქოთ
და ჩვენი უპოვარება ამოვისუნთქოთ.

მოდი, სულო წმიდაო! ჩვენ გვჭირდები შენ.
როს შეგვეხები
სინათლეს ვხედავთ სხვების სახეში,
ღვთისგან მომავალს.

ტილმან ბელერი

სულო ცხოვრებისაო

სულო ცხოვრებისაო, გახსენ ჩემი გული
შენი მადლმოსილი ძღვენისათვის!

სულო ჭეშმარიტებისაო,
ღვთის ჭეშმარიტება მამცნე აზრთა ქაოსში!

სულო სიყვარულისაო, ფერი მიცვალე,
 რათა შემეძლოს ნამდვილად მიყვარდეს.

სულო მშვიდობისაო, შემეწიე,
ვთესო მშვიდობა და შემრიგებლობა!

სულო სიხარულისაო, მყავ მადლიერი
ყოველი სიკეთისა და მშვენიერებისათვის
ჩემ ცხოვრებაში!

სულო მხნეობისაო

სულო წმიდაო,
შენ ცხოვრებავ დაუცხრომელო,
მაცოცხლებელო ყოველთაო და ფესვო შესაქმისაო,
განსწმინდე შენი ქმნილება,
განაქარვე მისი ბრალი და უწამლე მის ჭრილობებს.

ო ცხოვრებავ მანათობელო, ღირსო ქებისაო,
განაღვიძე და აღადგინე ეს ყოველივე!

ჰილდეგარდ ბინგენელი

შენ წმიდაო ცეცხლო

შენ წმიდაო ცეცხლო
აენთე ჩვენს გულებში

შენ წმიდაო წყალო
იდინე ჩვენს შორის

შენ სულო წმიდაო
შთააგონე ჩვენი ფიქრები

შენ წმიდაო შემწევ
მეტყველი იყავ ჩვენში

შენ წმიდაო მტრედო
იფრინე ჩვენი სამყაროს გავლით

შენ წმიდაო სიყვარულო
აღძარი ყველა ადამიანი

ანტონ როთცეტერი

სუნთქვაო ღმრთისავ

სუნთქვაო ღმრთისავ, სულო წმიდაო,
რომელშიც ვსუნთქავ, რომლისაგანაც ვსუნთქავ,
რომლისმიერაც ვსუნთქავ.
აღმძარი, მღვიძარედ მამყოფე,
რათა ვემსახურო ღარიბებს.
მომეცი ძალა, რათა ვემსახურო დიალოგს,
განმაძლიერე, რათა დავამოწმო ჭეშმარიტება.

სულიერო ძალავ ღმრთისაო, მამისაგან
წარმოგზავნილო,
ძისა მიერ აღთქმულო,
დამიცავი მედიდურობისა და ამპარტავნებიასგან.
ჩემთან იყავი ყოველდღიურ შეხვედრებისას.
მომეცი უნარი ადამიანთა მრავალფეროვანი ნიჭების
აღმოჩენისა.
დამიფარე უსამართლობისგან და გამოუთქმელი
ძალმომრეობისაგან.
განმარიდე ყოველგვარ დავას.

სულო წმიდაო, შენ მცველო შენი ეკლესიისაო,
დაიფარე და უწინამძრვრე მას ჟამითი-ჟამად.
ნურავის განაშორებ შენი ეკლესიისგან,
რათა ყოველთვის შენდა მომართ ვილტოდეთ მასთან
ერთად.

საღმრთო ნუგეშო!
ჩვენ არ გვაქვს ცოდნა ჩვენი მომავალისა,
არ გვაქვს ცოდნა სამომავლო წინააღმდეგობებისა.
არ ვიცით როგორ შევხვდებით მათ,
ძლიერები თუ სუსტები.
მაგრამ შენ გვანუგეშებ შენი მყოფობით.

შენ გვაძლიერებ შენი ძღვნით.
შენ გვიცავ შენი სიყვარულის ძალმოსილებით.
იყავი ჩვენთან ღმრთის სამეფოს დამყარებისას,
რომელშიც თაყვანს ვცემთ და განვადიდებთ მამას
და ძეს
ყოველთა დღეთა და ვიდრე უკუნისამდე.
ამინ

თომას შვარცი

გამოცემულია რენოვაბისის, გერმანელ
კათოლიკეთა საქველმოქმედო ფონდის მიერ,
რომელიც ადამიანთა დასახმარებლად საქმიანობს
ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში.
დომბერგი 38/40, 85354 ფრაიზინგი,
www.renovabis.de
© Renovabis, მაისი 2025
წარმოების მხარდაჭერა: თომას მ.პ. შუმანი
გრაფიკა: სარეკლამო ბიურო, მიუნხენი.

გარეკანის ფოტო: ანა მაკაჩი,
ლვოვი/ლემბერგი
თარგმანი: აღექსანდრე ბიძინაშვიილი,
ნიკო ჩარგაზია.

Print product with financial
climate contribution
ClimatePartner.com/12518-1907-1001

გამოავდენ შენ სუდს,
დაიბადებიან და
განახდება ქვეყანა.

(ფსალმ. 104, 30)

Renovabis
სოლიდარობა ხალხისადმი
აღმოსავლეთ ევროპაში

www.renovabis.de